



1092/4-1/22 2 09022022

1092/4-1/22

09-02-2022

შპს მთის კურორტების განვითარების კომპანიის დირექტორს,

ბატონ ირაკლი ჭირაქაძეს

ბატონო ირაკლი,

როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ ბაკურიანში მიტარბის პირველი საბაგირო მოულოდნელად გაითიშა, რის გამოც საჭირო გახდა მგზავრების ევაკუაცია. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, საბაგიროს ფუნქციონირების შეფერხებამ მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნა მგზავრებს, მათ გარკვეული დროით მოუწიათ გაჩერებულ საბაგიროზე ყოფნა, სანამ სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები აღმოუჩენდნენ შესაბამის დახმარებას.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, დეტალურად გვაცნობოთ რამ გამოიწვია საბაგიროს ფუნქციონირების შეფერხება; რა ზომები მიიღეთ მგზავრთა უსაფრთხო ევაკუაციისთვის; რამდენად გონივრულ დროში შეძელით მგზავრთა ევაკუაცია და საბაგიროს ფუნქციონირების აღდგენა; იკვლევთ თუ არა აღნიშნული ფაქტის გამომწვევ მიზეზებს და ასეთის არსებობის შემთხვევაში, როდის იქნება შესაძლებელი დადგინდეს შეფერხების გამომწვევი გარემოება ან/და მის წარმოქმნაზე პასუხისმგებელი პირები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი



მ.თ.ა.ი.

მ თ ი ს ტ რ ა ს ა ბ ი ს ს ა ა ბ ა ე ტ ი

N 01/85
01/03/2022

85-02-2-202203011959



ქალბატონო ნინო,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 07 თებერვლის N 1-1/47 ბრძანების საფუძველზე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს დაევალა 2022 წლის 06 თებერვალს შპს „ემ თი ეის“ (ყოფილი შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია) მართვაში არსებული მიტარების საბაგიროს ავარიულ გამორთვასთან დაკავშირებით ინსპექტირების განხორციელება. შესაბამისად მიმდინარეობს მოკვლევა და მიზეზების დადგენა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. თავშივე მსურს ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, მომხდარი ფაქტი არ იყო გამოწვეული ჩვენი თანამშრომლების დაუდევრობით ან გულგრილობით. მათ პროფესიონალიზმზე პირადად ვარ პასუხისმგებელი.

სტანდარტულად ყველა საბაგიროს აქვს ავარიული ძრავი (დიზელი), რომელსაც იყენებენ ელექტრო ენერჯის მოულოდნელი გათიშვის შემდგომ, მხოლოდ მგზავრების ევაკუაციისათვის. ყოველი სამუშაო დღის დაწყებამდე, პროტოკოლით მოწმდება დიზელის ძრავის გამართული ფუნქციონირება. ამ მხრივ პრობლემა არ გვქონია. ასევე ყველა საბაგიროს მოყვება, მინიმუმ სამი სტანდარტული კომპლექტი, სამაშველო აღჭურვილობა, მგზავრების საბაგიროდან თოკებით ავარიული ევაკუაციისათვის. ეს მეთოდი მსოფლიოს ყველა კურორტზე გამოიყენება და კომპანიის სამაშველო ჯგუფს ევროპული სტანდარტის შესაბამისად პერიოდულად უტარდება ტრენინგი, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად და უსაფრთხოდ შეძლონ მგზავრების ევაკუაცია. გამონაკლისი არც ჩვენი კომპანიაა. ამ აღჭურვილობის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დიზელის ავარიული ძრავი არ ირთვება.

იმ შემთხვევაშიც, რომლითაც თქვენ დაინტერესდით, მოხდა საბაგიროს მოულოდნელი გათიშვა. ყველა თანამედროვე საბაგირო აღჭურვილია რთული ელექტრო მოწყობილობით და კომპიუტერით, რომელიც აკონტროლებს საბაგიროს უსაფრთხო მუშაობის პროცესს. ავარიული გათიშვისას თუ სისტემამ არ ჩათვალა, რომ საბაგირო გზის მთელი ხაზი უსაფრთხოა, დიზელის ძრავის ჩართვის საშუალებას არ აძლევს ტექნიკურ პერსონალს. ასეთ შემთხვევაში საქმეში ერთვება სამაშველო ჯგუფი და იწყებს მგზავრების ევაკუაციას. საერთაშორისო პროტოკოლით სამაშველო ოპერაციისათვის განკუთვნილია 3 საათი.

+995 591 508 838
info@mta.ski
mta.ski

მენაბ კოსტავას ქ. N70,
0171, თბილისი, საქართველო



ავარიული გათიშვის დღეს, საბაგროს თანამშრომლებმა სცადეს დიზელის ძრავის ამოქმედება, თუმცა სისტემამ არ მისცა საშუალება ავარიულ რეჟიმის გამოყენების, რადგან დაზიანების შედეგად დაიკარგული იყო სიგნალი საბაგროს საოპერატოროებსა და ბოდებს შორის. საბაგროს თანამშრომლებმა დაიწყეს მთელი საბაგრო ხაზის დათვალიერება და პარალელურად მობილიზებული იყო სამაშველო სამსახური. სამაშველო სამსახურმა დაიწყო ოპერაცია, რომლებმაც უმოკლეს ვადებში, 2 საათში, უსაფრთხოდ განახორციელეს მგზავრების ჩამოყვანა.

გარკვეული ტექნიკური სამუშაოების შემდგომ ჩვენმა თანამშრომლებმა მოახერხეს კავშირის აღდგენა, ჩართეს საბაგროს ავარიული დაშვებისთვის განკუთვნილი ძრავი და რამდენიმე მგზავრის ევაკუაცია მოახერხეს სამაშველო ჯგუფების გარეშე.

როგორც მოგახსენეთ, მიმდინარეობს მოკვლევა მიტარბის საბაგროს ავარიული გამორთვის ფაქტზე და ველოდებით შესაბამისი სამსახურის დასკვნას.

ირაკლი ჭირაქაძე

დირექტორი
შპს ემ თი ეი

